

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 3 1 3 2

ქ. ბათუმი, 31 დეკემბერი 2018 წ

მზრუნველობას მოკლებულ ბენეფიციართა მოვლა-პატრონობა და მოვლის საჭიროების მქონე პირთა დახმარების ქვეპროგრამის მზრუნველობას მოკლებულ პირთა მოვლა-პატრონობის ჩატარებასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის „სოციალური უზრუნველყოფა“, „მზრუნველობას მოკლებულ ბენეფიციართა მოვლა-პატრონობა და მოვლის საჭიროების მქონე პირთა დახმარება“ ქვეპროგრამის ფარგლებში მზრუნველობას მოკლებულ პირთა მოვლა-პატრონობის ჩატარებასთან დაკავშირებით, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელების მიზნით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე.“ ქვეპუნქტის და „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 დეკემბრის №74 დადგენილების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს:

ა) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განცხადება „მზრუნველობას მოკლებულ ბენეფიციართა მოვლა-პატრონობა და მოვლის საჭიროების მქონე პირთა დახმარება“ ქვეპროგრამის ფარგლებში მზრუნველობას მოკლებულ პირთა მოვლა-პატრონობის ჩატარებასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ, თანახმად დანართი 1-სა.

ბ) „მზრუნველობას მოკლებულ ბენეფიციართა მოვლა-პატრონობა და მოვლის საჭიროების მქონე პირთა დახმარება“ ქვეპროგრამის ფარგლებში მზრუნველობას მოკლებულ პირთა მოვლა-პატრონობის ვაუჩერის გაცემისა და გამოყენების წესი, თანახმად დანართი 2-სა.

გ) „მზრუნველობას მოკლებულ ბენეფიციართა მოვლა-პატრონობა და მოვლის საჭიროების მქონე პირთა დახმარება“ ქვეპროგრამის ფარგლებში მზრუნველობას მოკლებულ პირთა მოვლა-პატრონობის ვაუჩერის თანდართული ფორმა, თანახმად დანართი 3-სა.

2. „მზრუნველობას მოკლებულ ბენეფიციართა მოვლა-პატრონობა და მოვლის საჭიროების მქონე პირთა დახმარება“ ქვეპროგრამის ფარგლებში მზრუნველობას მოკლებულ პირთა მოვლა-პატრონობის ვაუჩერზე ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სახელით ხელმოწერის უფლებამოსილება მიენიჭოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსს სოფიო მიქელაძეს.

3. „მზრუნველობას მოკლებულ ბენეფიციართა მოვლა-პატრონობა და მოვლის საჭიროების მქონე პირთა დახმარება“ ქვეპროგრამით გათვალისწინებული მზრუნველო-

ბას მოკლებულ პირთა მოვლა-პატრონობის ვაუჩერის ფარგლებში, სერვისის მიმწოდებელ დაწესებულებებთან ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სახელით ხელშეკრულებაზე ხელმოწერის უფლებამოსილება მიენიჭოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს ლელა სურმანიძეს.

4. ხელშეკრულების პროექტის მომზადება სერვისის მიმწოდებელ ორგანიზაციებთან დაევალოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილებას.

5. წინამდებარე ბრძანება გამოქვეყნდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე (www.batumi.ge).

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ლაშა კომახიძე

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

„დამტკიცებულია“
ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერის 2018 წლის 31 დეკემბრის
№3132 ბრძანებით

**ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა**

„მზრუნველობას მოკლებულ ბენეფიციართა მოვლა-პატრონობა და მოვლის საჭიროების მქონე პირთა დახმარება“ ქვეპროგრამის ფარგლებში მზრუნველობას მოკლებულ პირთა მოვლა-პატრონობის ღონისძიებებში მონაწილეობის მსურველ პირთათვის ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია (ქ. ბათუმი, ლ. ასათიანის ქ. №25) აცნობებს ყველა დაინტერესებულ პირს:

1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია მზრუნველობას მოკლებულ პირთა (122) მოვლა-პატრონობა. ბიუჯეტი - 801 540 ლარი. ერთი დღის მომსახურება - 18 ლარი.

2. მზრუნველობას მოკლებულ პირთა მოვლა-პატრონობის ღონისძიებების მიზანია უპოვარ და მზრუნველობას მოკლებულ ბენეფიციართა მოვლა-პატრონობის ხარჯების დაფინანსება, რომელიც ითვალისწინებს ამ კატეგორიის მოქალაქეების თავშესაფრით (24 საათიანი), შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით, მედიკამენტებით, უნიფორმით, საყოფაცხოვრებო პირობებითა და სამჯერადი კვებით უზრუნველყოფას, თანდართული მენიუს მიხედვით. ღონისძიებით განსაზღვრული მომსახურების მიწოდება ხორციელდება ვაუჩერის საშუალებით. ქვეპროგრამის მოსარგებლეს აქვს თავისუფალი არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა მომსახურების მიმწოდებლებს შორის, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

3. მომსახურების გაწევის ვადაა 2019 წლის იანვრიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდი.

4. ქვეპროგრამის მოსარგებლები არიან უპოვარ და მზრუნველობას მოკლებული ბენეფიციარები, რომლებიც რეგისტრირებული არიან ქ. ბათუმში 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

5. უპოვარ და მზრუნველობას მოკლებულ ბენეფიციართა ღონისძიებაში მონაწილეობის მსურველმა დაწესებულებებმა გთხოვთ მოგვმართოთ მისამართზე: ქ. ბათუმი, ორბელიანის ქ. №10, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური

6. დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

ა) წერილობითი განაცხადი უპოვარ და მზრუნველობას მოკლებულ ბენეფიციართა ღონისძიების განხორციელებაში მონაწილეობის მიღების სურვილის თაობაზე;

ბ) მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონის ნომერი, ფაქსი, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები);

გ) პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს კარგად აღჭურვილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ფართი ბენეფიციართა განთავსებისათვის, შესაბამისი შენობა-ნაგებობა ქ. ბათუმის ტერიტორიაზე (პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტაციის ან იჯარის შემთხვევაში - საიჯარო ხელშეკრულების ასლ(ებ)ი, ინფორმაცია ტექნი-

კური შესაძლებლობის შესახებ მოწოდებული უნდა იქნეს ტექსტის სახით შესაბამისი ფოტოსურათების, ნახაზების და ა.შ. თანდართვით. ფართის რაოდენობა საშუალოდ 3-5 კვადრატული მეტრი ერთ ბენეფიციარზე. შენობას უნდა გააჩნდეს შიდა ეზო, სამზარეულო, სველი წერტილები, კეთილმოწყობილი და ადაპტირებული გარემო. მომსახურების გასაწევად უნდა ჰყავდეს შესაბამისი პროფილის სპეციალისტები: ექიმი, ექთანი, მოწყალეების და/ან ძმა. საჭიროების შემთხვევაში უნდა შეძლოს სხვადასხვა ვიწრო სპეციალისტის მომსახურება. ბენეფიციარებისათვის საყოფაცხოვრებო და პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებისათვის შესაბამისი ინდივიდუალური გეგმის შედგენა. საგანმანათლებლო, კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის უზრუნველყოფა.

„მზრუნველობას მოკლებულ ბენეფიციართა მოვლა-პატრონობა და მოვლის საჭიროების მქონე პირთა დახმარება“ ქვეპროგრამის ფარგლებში მზრუნველობას მოკლებულ პირთა მოვლა-პატრონობის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ვებ-გვერდზე www.batumi.ge.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ მისამართზე: ქ.ბათუმი, ორბელიანის ქ. №10, ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური. ტელეფონი: (0422) 24-63-02, 577 30 26 59; მარინა რუხაძე.

„დამტკიცებულია“
ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერის 2018 წლის 31 დეკემბრის
№3132 ბრძანებით

„მზრუნველობას მოკლებულ ბენეფიციართა მოვლა-პატრონობა და მოვლის საჭიროების მქონე პირთა დახმარება“ ქვეპროგრამის ფარგლებში მზრუნველობას მოკლებულ პირთა მოვლა-პატრონობის ვაუჩერის გაცემისა და გამოყენების წესი

ბენეფიციარის წარმომადგენელი განცხადებით და თანმხლები დოკუმენტებით მიმართავს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას.

საჭირო დოკუმენტების ჩამონათვალი:

- ბენეფიციარის პირადობის მოწმობის ასლი;
- ბენეფიციარის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დამადასტურებელი ცნობის ასლი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ქვეპროგრამის ბენეფიციარის სრულყოფილი დოკუმენტაციის საფუძველზე გაიცემა ვაუჩერი.

ვაუჩერის „ა“ ნაწილი ინახება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში, ხოლო „ბ“ ნაწილი გაიცემა ბენეფიციარის წარმომადგენელზე. ვაუჩერის „ბ ნაწილი“ უნდა ინახებოდეს მომსახურების მიმწოდებელ დაწესებულებაში. ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებული არიან ქ. ბათუმში 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

ბენეფიციარმა ან მისმა წარმომადგენელმა დადგენილი წესით უნდა მიიღოს ვაუჩერი თვეში ერთჯერ.

ქვეპროგრამის ბენეფიციარი დაფინანსდება ვაუჩერში მითითებული ფიქსირებული თანხით, 18 ლარი ერთ დღეზე.



ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია
მზრუნველობას მოკლებულ პირთა მოვლა-პატრონობა

ა

ვაუჩერი № _____

ბენეფიციარის სახელი, გვარი _____

დაბადების წელი _____

პირადი ნომერი _____

მისამართი _____

მომართვის თარიღი _____

ვაუჩერის გაცემის თარიღი _____

ვაუჩერის მოქმედების ვადა _____

ქვეპროგრამით გათვალისწინებული დაფინანსების მოცულობა _____ ლარი.

გავეცანი პირობებს და ვაუჩერი მივიღე უფასოდ:

ხელმოწერა: ბენეფიციარი

ან წარმომადგენელი _____



ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია
მზრუნველობას მოკლებულ პირთა მოვლა-პატრონობა

ბ

ვაუჩერი № _____

ბენეფიციარის სახელი, გვარი _____

დაბადების წელი _____

პირადი ნომერი _____

მისამართი _____

მომართვის თარიღი _____

ვაუჩერის გაცემის თარიღი _____

ვაუჩერის მოქმედების ვადა _____

ქვეპროგრამით გათვალისწინებული დაფინანსების მოცულობა _____ ლარი

დაწესებულება:

უფლებამოსილი პირი

ბ.ა.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია

გახსოვდეთ!

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება ხორციელდება იმ პირობით, რომლებიც ფლობენ ვაუჩერს. აღნიშნული ვაუჩერი გადაეცემა ბენეფიციარს/წარმომადგენელს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ.

გათვალისწინეთ!

ვაუჩერი ძალაშია მხოლოდ ვაუჩერით გათვალისწინებულ ვადამდე. ვაუჩერის დაკარგვის შემთხვევაში მფლობელს (წარმომადგენელს) უფლება აქვს შესაბამისი განცხადებით მიმართოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას

ცხელი ხაზი; ტელ: (0 422) 24-63-02

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია

გახსოვდეთ!

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება ხორციელდება იმ პირობით, რომლებიც ფლობენ ვაუჩერს. აღნიშნული ვაუჩერი გადაეცემა ბენეფიციარს/წარმომადგენელს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ.

გათვალისწინეთ!

ვაუჩერი ძალაშია მხოლოდ ვაუჩერით გათვალისწინებულ ვადამდე. ვაუჩერის დაკარგვის შემთხვევაში მფლობელს (წარმომადგენელს) უფლება აქვს შესაბამისი განცხადებით მიმართოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას

ცხელი ხაზი; ტელ: (0 422) 24-63-02

ორშაბათი			სამშაბათი		
საუზმე	ჩაი	200 გრ.	საუზმე	ჩაი	200 გრ.
	კარაქი	20 გრ.		კარაქი	20 გრ.
	მანის ფაფა რძეზე	200 გრ.		მაკარონის ფაფა რძეზე	200 გრ.
	პური	150 გრ.		პური	150 გრ.
სადილი	ბორში ძვლის ნახარშზე	500 გრ.	სადილი	სუპი ბრინჯის	500 გრ.
	შემწვარი კარტოფილი	150 გრ.		კატლეტი პიურე	70/200 გრ.
	კომპოტი	200 გრ.		კომპოტი	200 გრ.
	პური	200 გრ.		პური	200 გრ.
ვახშამი	ჩაი	200 გრ.	ვახშამი	ჩაი	200 გრ.
	ღვეზელი	200 გრ.		ხაჭაპური	200 გრ.
	ყველი	50 გრ.		პური	150 გრ.
	პური	150 გრ.			
ოთხშაბათი			ხუთშაბათი		
საუზმე	ჩაი	200 გრ.	საუზმე	ჩაი	200 გრ.
	კარაქი	20 გრ.		კარაქი	20 გრ.
	წიწიბურა	200 გრ.		ბრინჯის ფაფა	200 გრ.
	პური	150 გრ.		პური	150 გრ.
სადილი	სუპი ბარდის	500 გრ.	სადილი	ბორში ძვლის ნახარშზე	500 გრ.
	ტოლმა	2ც-120 გრ.		თევზი პიურეთი	80/200 გრ.
	კომპოტი	200 გრ.		კომპოტი	200 გრ.
	პური	200 გრ.		პური	200 გრ.
ვახშამი	ჩაი	200 გრ.	ვახშამი	ჩაი	200 გრ.
	ალადი	200 გრ.		ღვეზელი	200 გრ.
	ყველი	50 გრ.		კვერცხი	1 ც.
	პური	150 გრ.		პური	150 გრ.

პარასკევი			შაბათი		
საუზმე	ჩაი	200 გრ.	საუზმე	ჩაი	200 გრ.
	კარაქი	20 გრ.		კარაქი	20 გრ.
	წიწიბურა	200 გრ.		ბრინჯის ფაფა	200 გრ.
	პური	150 გრ.		პური	150 გრ.
სადილი	ლობიო	400 გრ.	სადილი	სუპი მაკარონის	500 გრ.
	მაკარონი შაქრით	200 გრ.		ვინეგრეტი	200 გრ.
	კომპოტი	200 გრ.		კომპოტი	200 გრ.
	პური	200 გრ.		პური	200 გრ.
ვახშამი	ჩაი	200 გრ.	ვახშამი	ჩაი	200 გრ.
	ალადი	200 გრ.		ღვეზელი	200 გრ.
	ხაჭო	50 გრ.		სოსისი	1 ც.
	პური	150 გრ.		პური	150 გრ.
კვირა					
საუზმე	ჩაი	200 გრ.			
	კარაქი	20 გრ.			
	მანის ფაფა	200 გრ.			
	პური	150 გრ.			
სადილი	სუპხარჩო	500 გრ.			
	წიწიბურა	200 გრ.			
	კომპოტი	200 გრ.			
	პური	200 გრ.			
ვახშამი	ჩაი	200 გრ			
	ფლავი ქიშმიშით	250 გრ			
	პური	150 გრ			